კლდე

№ 4

7 ღვინობისთვე 1912 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ.,—5 მან. ამა 1912 წლ. დამლევამდე—1 მან., 50 კაპ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. №3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი: მეთაური. ვინ უნდა ავირჩიოთ დეპუტატად?—ალ. ყიფშიძესი. საარჩევნო ქრონიკა. ღამის საიდუმლო—ელოსი. პეტრე ბაგრატიონი—ალ. ფრონელისა. დემაგოგია და ერის ღალატი. საფუძველი დანის აგრარულ რეფორმისა—დ. ვაჩნაძესი. სურათი ინგლისის სოფელისა—ლიხისა. ნავთის სამეფო—ალ. ნ—ძესი. ჩვენს გარეშე. ჩერნოგორია. ნარევი. ჩვენი ფოსტა.

თბილისი. 7 ღვინობისთვე 1912 წ.

ამომრჩეველთა არჩევნები უკვე მთავრდება. მალე ისინი თბილისში გამოცხადდებიან დეპუტატთა ასარჩევად. ყველა მათგანი თანასწორის ნდობით არის შემოსილი, primus inter pares, როგორც ამბობდნენ რომაელები. თვითოეულ მათგანზედ ჰკიდია ბედი ამა თუ იმ კანდიდატისა. აქა ჰმართებთ მათ დიდი გამჭრიახობა, პოლიტიკური სიმწიფე.

სადეპუტატო არჩევნებში ორი კანდიდატურა არის შესაძლებელი. ერთის მხრით იქმნება ლ. ანდრონიკაშვილი და მთელი შეგნებული ქართველი ერი, მეორე მხრივ კ. ჩხეიძე და მისი პარტია, სოციალ-დემოკრატია. მესამე პირის კანდიდატურა, რაგინდ მემარცხენე იყვეს ეს კანდიდატურა, არც სასურველია, არც შესაძლებელი. სასურველი არ არის, რადგანაც იგი მხოლოდ არეულობას შეიტანდა იმ განწყობილებაში, რომელიც უკვე არსებობს; და შესაძლებელი არ არის იმ მოსაზრებით, რომ იგი საკმაო ძალას ვერსად ვერ მონახავდა, რომელზედაც შეეძლოს დამყარება. სოციალ-დემოკრატია ერთის მხრივ და ეროვნულ ჯგუფების კოორდინაცია მეორე მხრივ, სავსებით ახასიათებს საარჩევნო ბრძოლას. ამისდაკვალად, ლ. ანდრონიკაშვილი, ერთის მხრივ და კ, ჩხეიძე, მეორეს მხრივ, სავსებით გამოხატავენ ამ პარტია-ჯგუფების ფიზიონომიას. მაშასადამე, საარჩევნო ბრძოლა სავსებით გამოხატულია, ჩამოქნილია ორი პირის მეტოქეობაში. ყოველი სხვა კომბინაცია მხოლოდ არა სასურველ მიმდინარეობას მისცემდა არჩევანს. მით უმეტეს, რომ სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, ლ. ანდრონიკაშვილის მომხრე ამომრჩეველნი ბოლომდის შეინახავენ დამოუკიდებლობას და არავითარ ისეთ კომბინაციას, რომელიც, მცირედაც არის, ზიანს მიაყენებს მათ კანდიდატს—არ დასთანხმდებიან. ამას მოითხოვს ტაქტიკა, ამას მოითხოვს გამარჯვების სურვილი.

მაგრამ, შესაძლებელია ერთი რამ გარემოება და ამ გარემოებას ამომრჩეველი მომზადებული უნდა დახვდეს. უკვე ხმა დადის და დღეს ჩვენ ჟურნალშიაც ამოიკითხავს მკითხველი, რომ ს.-დემოკრატებს ჩუმი მო-

ლაპარაკება ჰქონიათ დაშნაკცაკანებთან. ამ მოლაპარაკების ძალით ყველა სომეხმა ამომრჩეველმა ს.-დემოკრატ ჩხეიძეს უნდა მისცეს ხმა. მაგრამ ეს ცოტაა. იმავ მოლაპარაკების ძალით ს.-დემოკრატები ვალდებულნი არიან დაშნაკცაკანების ლიდერს, ა. ხატისოვს მისცენ თავიანთი ხმები, თუ დაატყვეს, რომ ლ ანდრონიკაშვილი იმარჯვებს. ამ რიგად, ამ ხმებს რომ დაუჯეროთ, ქართველ ხალხის წინააღმდეგ შეთქმულობა მზადდება. მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე, ეს შეთქმულობა მხოლოდ façon de parler იყოს, ჩვენ შესაშინებლად. ამით ს.-დემოკრატებს მხოლოდ შემდეგ დილემის შექმნა სურთ: თუ ჩვენ არ მოგვცემთ ხმებს,—მაშინ ხატისოვი გავაო. ს.-დემოკრატებს ამით უნდათ იმოქმედონ ეგრედ წოდებულ „ნაციონალისტ“ „შოვინისტ“ და „პატრიოტ“ ამომრჩეველზედ, ამით უნდა შეაშინონ ისინი და სწორედ ამისი არ უნდა შეეშინდეთ ამომრჩევლებს. ქართველმა ამომრჩეველმა არც ს.-დემოკრატს ჩხეიძეს უნდა მისცეს ხმა, არც დაშნაკცაკან ხატისოვს. მას ჰყავს თავისი კანდიდატი და ეს კანდიდატია ლ. ანდრონიკაშვილი!

ვინ უნდა იყოს ჩვენი დეპუტატი?

საქართველო ისტორიული ერია. ათასწლობით უცხოვრია ევროპისა და აზიის კიდეზე და იცხოვრებს კვლავ. ზოგიერთნი მოღვაწენი რაღაც თვით გამორკვევას ეპოტინებიან და ასეთს ცხრა-წვენას ჩვენც გვთავაზობენ. მომავალშიც მასვე გვპირდებიან, თითქოს იგი რაღაც მიუწდომელი ხილი იყვეს.

ის ერი გამოერკვიოს, ვისიც წარსული ცარიელი უდაბნოა და სიბნელე. დავიო აღმაშენებელის და რუსთველის სამშობლოს რა გამორკვევა და გამოჩენა უნდა?

ეროვნულად, რელიგიურად, ეთნოგრაფიულად და გეოგრაფიულად ჩამოქნილს საქართველოს ესაჭიროება მხოლოდ თავისუფალი გზა, რომ თვის გულის სიღრმეში, საკუთარის ძალ-ღონით, ხელ-შეუშლელად განავითაროს თვისი ეროვნული ძალნი, თამამად დაადგეს პროგრესისა და კულტურის გზას, განამტკიცოს ეროვნულ-დემოკრატიული პრინციპნი და მათზე დაამყაროს ამ პატარა ქვეყნის ბედი. ძველი, დახავსებული ფორმა აღარ შეეფერება დღევანდელს ცხოვრებას. საჭიროა შესაფერის ფორმის გამოჩხრეკა

ვის შეუძლიან დაიცვას სახელმწიფო სათათბიროში გულწრფელად, გონიერებით, თამამად და გაბედულად ასე გაგებული საქართველოს ინტერესი?

ჩვენის ღრმა რწმენით, მხოლოდ ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილს. იგი ფრიად ნიჭიერი ყმაწვილი კაცია, შემკული ძლიერის ლოღიკით, რომელიც განუვითარებია ფილოსოფიის საბუთიანად შესწავლით. იგია დახელოვნებული იურისტი, მჭერმეტყველი და ენაწყლიანი ორატორი, თამამი და გამბედავი, სპეტაკი სულის პატრონი და გულწრფელი და უანგარო მოღვაწე

ასეთს კაცს რომ თვისი პატარა სამშობლო, მერე ისიც დაჩაგრული, გაწბილებული, პატივს აყრილი, არ უყვარდეს დიდის სიძლიერით, დიდის სულის კვეთებით, შეუძლებელი წარმოსადგენია და ჩვენ ვამოწმებთ, რომ ლუარსაბს უყვარს საქართველო და მის ბედნიერებისთვის არ დაზოგავს თვის წარმავალს სიცოცხლეს და მტლეად დაედება მას.

მაშ ავირჩიოთ ლუარსაბი!

ალ. ყიფშიძე.

საარჩევნო ქრონიკა

ნამდვილ წყაროებიდან ვიცით, რომ სოციალ დემოკრატიის პარტიამ დაადგინა: შეუერთდეს დაშნაკცაკანებს და სხვა სომხებს, ქართველ სოც.-ფედერალისტების წინააღმდეგ თბილისის გუბერნიის დეპუტატის არჩევნების დროს.

——

ქართველ ფედერალისტებმა გადასწყვიტეს საბოლოოდ: თუ თავის პარტიის კანდიდატს ვერ გაიყვანენ, მაშინ ყველა თავის ხმებს აუცილებლად

სოციალ-დემოკრატიას მისცემენ. მაშინაც კი, თუ სხვა რომელიმე ქართველ დემოკრატიულ ჯგუფის კანდიდატი იქნება წამოყენებული.

——

პირველ სათათბიროს დეპუტატის, ი. ბარათა შვილის აზრი ლუარსაბ ანდრონ კაშვილის კანდიდატურის შესახებ ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი შეეკითხა თავ. იოსებ ბარათაშვილს ლ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურის შესახებ. დეპუტატად ნამყოფმა უპასუხა, რომ კანდიდატურა ლ. ანდრონიკაშვილისა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სასურველი არისო. „მშვენიერი ორატორი, განათლებული, დიდი ცოდნის პატრონი და მასთან ერთად სამშობლოს მოსიყვარულე, რწმენით დემოკრატი, აი რა კაცი ეყოლებოდა საქართველოს თავის წარმომადგენლად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში! მე მიკვირს, ძალიან მიკვირს, რომ ამ უკანასკნელ დროს ისე უცნაურად ახასიათებდნენ პრესაში ლ. ანდრონიკაშვილს, „სახალხო გაზეთმა“ ზურგიც კი შეუბრუნა.

სხვათა შორის, დაუმატა ბ. ბარათაშვილმა, ლ. ანდრონიკაშვილი ძალიან დაახლოვებული იყო სახელმწიფო სათათბიროს ერთ ერთ ფრაქციასთან, სახელდობრ, მშრომელ ჯგუფთან და მის ლიდერებთან. იღებდა მონაწილეობას მათ საკომისიო მუშაობაში, შველოდა და მხარს უჭერდა.

ბევრს დავკარგავთ თუ მას ვერ გავიყვანთ დეპუტატადაო.

——

გაზ. „კავკაზში“ მოყვანილია სია არჩეულ ქართლ-კახეთის ამომრჩევლებისა.

ახალქალაქის მაზრა. გლეხები: ტ. ტერ-იეზიკიანცი, კ. ხრიმიანი, აზნაურები—გ. ქანანოვი, მუსტაფა ფალავანდიშვილი.

ახალციხის მაზრა. ს. იბრაღიმ ოღლი,—გლეხი.

გორის მაზრა. დავით აჭილახვარი, როსებ ამირეჯიბი, ალექს. ამირეჯიბი, გიორგი ვეზირიშვილი, ვასო ფალავანდიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, გიორგი მაჭარაშვილი, ლომიძე, სტეპანიანცი.

სიღნაღის მაზრა. ბ. ჭუმბურიძე, დ. ლომანაშვილი—გლეხები. ნიკოლოზ ტურიაშვილი (ექიმი), კოტე ტყავაძე.

თელავის მაზრა. გლეხი—ი. ხინჩაკაშვილი; აზნაურები—ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, დავით ჯორჯაძე, ალექს. ვახვახიშვილი.

თ ანეთის მაზრა. შ. დარჩიევი—ქისტი.

დუშეთის მაზრა. ვ. კობაიძე—ვაჭარი.

ბორჩალოს მაზრა. ნ. საგინაშვილი, ალექს. სუმბათაშვილი, იოსებ შანშიევი, და სადიბეგ, ისმაილბეგ და ასადბეგ იედიგაროვები.

თბილისის მაზრა ალექს. ხატისოვი, დავით ყორღანოვი, ივანე ჯაბადარი.

ქ. თბილისი. ჩხეიძე, ბაბოვი, ბებურიშვილი, გოგლოევი არუთუნიანცი. და მე-3-მე უბანში კიდევ სამი კაცი, ჩხეიძის მომხრე.

——

ი მ ე რ ე თ ი ს

იმერეთში უნდა აირჩიონ 38 ამომრჩეველი. ჯერ ჯერობით აირჩიეს 25. აქედან—12 კიტა აბაშიძის მომხრეა, 8 გეგეჭყორისა, 5 კი უპარტიო მიმართულებისა არის.

ასარჩევია 13 კაცი.

ღამის საიდუმლო

— მშვიდობით..!—ყრუდ და მდუმარედ პასუხი მისცა გარინდებულმა მიდამომ ჩამავალ მზის სხივებს და შორს სივრცეში მწუხარედ თვალი გააყოლა.

— მზე ჩაესვენა, მოსწყდა ცის კალთას... სიცოცხლე ჩაჭრა..!

— ცა დაგვიბნელდა, დედამიწამ მწუხარებით პირი შეიკრა.

— სუთ, აგერ ღამეც გვიახლოვდება, ხედავთ მის გაშლილ შავს ფრთებსა? მოსცურავს, მთისა კალთები ჩამოირბინა, სული დაბნელდა ..

— ოხ, როგორ არა, ვხედავთ ყველანი. მაგრამ ეს რაღაა, ეს სიმღერა-ღრიანცელი, ვიღას უხარის?—ჩურჩულობდნენ ნაღვლიანად ყვავილთ ბუჩქები.

— ეს ღრიანცელი ჭაობისაა, ტბის სიხარული... ჩვენ დაგვიბნელდა, დაგვიმწუხრდა არე პირ მნათი, მათ კი უხარით, იცინიან გააქვთ ქათქათი.

— მერე რათა, რათა?—იძახოდნენ ერთად ყველანი.

— ს...სუთ?.—შეუტია წყრომით ნიავმა და ყვავილთ კოკრებს გაფრთხილებით გვერდი გამოჰკრა.—იქ სიშიში ბოროტებაა ხომ დაფარული;

განა არ იცით, რომ დღის ნათელს მუდამ ურბიან და შავ-ბნელ ღამეს, უკუნეთში თუ გამოდაან?..

— სტყუი შენ, სტყუი!—შესძახა იამ, ტბისა მშვენებით მუნ მოხიბლულმა.—ის დილის სხივზე ისე ბრწყინვალებს, ისე იღიმვის, ისე ნეტარობს, რომ უნებურად ცა-დედამიწას, ქვეყნიერებას თავისკენ იპყრობს! თვით შენც კი, ღამით, მის ანკარა ბრწყინვალე სახეს არ დასისინებ, ეჩურჩულები, ეალერსები! განა თვით მზეცა, ქვეყნის დიდედა, ღამის მნათობნი მთვარე ვარსკვლავნი მის გულშივე არა კრთებიან..?

— ჰმ!. საბრალო, უმანკო ბავშვო, რა გულ უბრყვილოდ შესცქერ ცხოვრებას! შენ რომ იცოდე იმ მომხიბვლელ პირ-მცინარე ცხოვრებისა ქვეშ, რავდენი გესლი, ბოროტებაა ღრმად დაფარული, მაშინ ხომ ეგრე ბედნიერი არ იქნებოდი!..—უთხრა მწუხარედ თავ ჩაკიდულმა ნაზმა მიმოზამ და გადაყრილი ნარნარი მხრები შეათამაშა.

ია კი შეკრთა, თავი დახარა და მოუთმენლად მიმოზასაგან სიტყვას ელოდა.

— მითხარ, გეთაყვა, მითხარ სიმართლე, მიამბე ქვეყნის ამოცანანი, რა იფარება იმ ტბის უფსკრულში, მისსა მშვენება-ბრწყინვალებაში?

დიდ ხანს ვვედრიდა, მუხლთ ეფლებოდა, ია მიმოზას ათრთოლებული. წყნარი ნიავიც სულს უმშვიდებდა უმანკო კოკრებს გაფრთხილებული და ნაზ მიმოზას მოციქულობდა ყვავილებისგან დანაბარევი.

— მაშ კარგი, გეტყვით,—უთხრა მიმოზამ და გაფრთხილებით მიმოიხედა.

— იყო და რა იყო, იყო მშვენება, ყვავილი ნაზი ქვეყნიერების, მისი მშვენებით და სურნელებით აღიგზნებოდა გარე ყოველი. მხოლოდ ყვავილი ძირს თავ დახრილი, მუდამ მდუმარე გაჩუმებული ოცნების სატრფოს შორს ეღიმოდა და მწარე კვნესა სულსა ხდებოდა. ენატრებოდა სიცოცხლის სხივი, მხურვალე, თბილი და სიყვარული, რომ ერთხელ მაინც მის გულსაც ეგრძნო ლხენა-სიამე და სიხარული. რა დააშავა საბრალომ ქვეყნად ასე სასტიკად რომ დასჯილიყო? რისთვის ასტყორცნა დედამიწის პირს მისი ნარნარი ლერწამი ყლორტი, თუ რომ მის გულსაც არ მოხვდებოდა გამონაშუქი არც ერთი სხივი? რომ მის კოკორნი გადაფურჩქნილნი უდროოდ ჩასჭკნენ სიყმაწვილეში!? რა დავაშავე?—სჩიოდა ჩუმად ყვავილი ნორჩი, შეწუხებული, ღამე პინდისას წყეულაში იყო და განთიადსა ისევ ლოცვაში. ღღე და ღამ მისი ოცნება ჰქროდა შორს ფრთებ შესხმული, გატაცებული, რომ ერთხელ მაინც იქნებ ეღირსოს მის სიახლოეს,—დაშორებული.

ერთხელ, როდესაც მზე დიდებული, სხივ მოფენილი, გაბრწყინვებული ტბის საიდუმლოს გულში ჩასცქერდა და მის სხივები ცელქური ხტომით შიგ ბანაობდნენ, და მზის მშვენებით, მის ძლიერებით ტბის ზედა პირიც უმანკოდ კრთოდა; ცა ირხეოდა ისარ ნატყორცნი, ძირს დედამიწა სიამეს გრძნობდა,—იქვე ყვავილი ვნებით აღძრული, ათრთოლებული იკუმშებოდა. იგი ხან კრთოდა, ხან ირხეოდა, ხან განწირულად სულით შფოთავდა, ხან კი ღიმილით სატრფოსკენ გულით აღტაცებული ხელებსა შლიდა. მაგრამ ეს ყველა ოცნება იყო მის ბედისწერად წინ დასახული; იგი ვერ ჰხრიდა თავს ტბისა ახლოს და სატრფოს ამბორს დაშორებოდა.—„შენ გინდა მასთან ტკბილი ალერსი, კოცნა საამო და სანეტარო?“ – მოესმა ყვავილს სანატრელი ხმა; ოცნების ღმერთმა აწ გაუღიმა. „დიახაც მინდა, კეთილო სულო ღვთით მოვლენილო! ხედავ, სიცოცხლეს აი როგორ ვლევ? მინდა სიცოცხლე, მის წმინდა სხივი. მიმიყვა ახლოს, ახლოს მის გულთან, რომ სანატრელსა ამბორს ვეღირსო.

— „მაშ კარგი—უთხრა ქვემძრომმა ფრთხილად და ნარნარ ყვავილს მაღლა შეხედა. გამოჰყო თავი მწვანე ბინიდან და ეშმაკურად ჩაიყიყინა:—გესმის, იქ მისვლა ისე ძნელია, რომ თვით განგება, თვით ძლიერებაც ვერ შესძლებს ამას, მე კი აგერა ნატვრას გისრულებ, მე მებრალები ბედით ჩაგრული; მოიტა ზურგი, მე ზედ ამოვალ, შენ დაიხრები, მის პირს დასწვდები და ნეტარ სხივებს დაეკონები“.

— „ოჰ სათნოებავ, რა კეთილი ხარ, ყვავილთ-მოყვარე, შემბრალებელი!—სთქვა ეს ყვავილმა, ცრემლების დენით გულით იწევდა თავის მხ.ნელისკენ. და მან კი ხარბად, ვნებით აღძრულმა, ნაზ შტოს მოავლო ცივი ბრჭყალები; ყლორტი დაზნიქა ტბის უფსკრულისკენ, სატრფოს სურვილით გატაცებული. ის იყო სხივებს მიუახლოვდა, და ბაგე ტბის პირს შეახო ნაზად, რომ ნაზი ყლორტი სიცოცხლეს მოსწყდა, მოიღო კვნესა გულშეღსაზარი. მ ნ კი ისკუპა გამარჯვებულმა, ტბისა მორევში მორთო ყიყინი“...

მიმოზა შეკრთა, ყური დაუგდო. ახლოს ისმოდა ჩუმი ქვითინი, ბუჩქები ფრთხილად მწუხარე

ოხვრას მას უერთებდნენ გულის ამოთქმით. ნიავი ჩუმად, შელონებული თავს ჩასტიროდა მწუხარე ია, გულზე ესვენა ის ფერმიხდილი გრძობა-გონება აღშფოთებული. შორს კი ისმოდა საზარელი ხმა, ჭაობის ლხენა, ტბის სიხარული, ბნელი წყვდიადიც მას ბანს აძლევდა, დღის სინათლეზე გამარჯვებული.

ელო.

პეტრე ბაგრატიონი

(1765—1812)

IV

კავკასიის მთიელებთან, ოსმალებთან და პოლონელებთან ომებმა ნათლად გამოაჩინა, თუ რა ამომავალი მზე უჩნდებოდა რუსის მხედრობას. მისი სამხედრო ნიჭი მომწიფდა და ახლა ფრთისა და ბრჭყალების გასაშლელად საქართველოდან გადაფრენილი არწივი ფართო სარბიელსა და ასპარეზს საჭიროებდა.

ასეთი სარბიელი იყო გალაშქრება რუსის მხედრობისა სუვოროვის უმფროსობით იტალიაში 1799 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ. ამ ჟამად პეტრე ბაგრატიონი იყო 34 წლისა და გენერალ-მაიორის ჩინი ჰქონდა.

იტალიის ლაშქრობიდან დაწყებული, თითქმის უცვლელ ჩვეულებად და ტრადიციად გაიხადეს რუსის მხედრობის სარდლებმა ისა, რომ მოწინავე ჯარის, ანუ ავანგარდის უფროსად, მუდამ პეტრე ბაგრატიონს ნიშნავდნენ, რომ მტერს პირველი ის დასტაკებოდა და ჯარისათვის გამარჯვების გზა გაეხსნა, ან არა და, როცა რუსის მხედრობა გაჭირვებაში ვარდებოდა და პირს იბრუნებდა, ზურგის ჯარის უფროსად კვლავ ბაგრატიონი ინიშნებოდა. დიდი მხნეობაა საჭირო, რომ მტერმა პირმობრუნებული ჯარი საბოლოოდ არ წაახდინოს, ან ტყვედ არ აიყვანოს და აი სწორედ ამიტომაც როგორც იტალიაში ლაშქრობის დროს, აგრეთვე შემდეგ, 1805 წ. და 1806—1807 წლებში ნაპოლეონთან ბრძოლის დროს, პეტრე ბაგრატიონი ან ავანგარდის უფროსია, ან არიერგარდისა.

ავანგარდის უფროსმა გენერალ-მაიორმა ბაგრატიონმა იერიშით დაიჭირა ქ. ბრეშიას ციხე (ციტადელი), იერიშითვე აიღო ქ. ლეკკო. ლეკკოს შემუსვრის დროს ბაგრატიონი ფეხში დასჭრეს ტყვიით, მაგრამ თავი არ დაანება მოიერიშე ჯარს და ხელმძღვანელობას უწევდა.

სარდალს სუვოროვს მოუხდა მდინარე პოში ჯარით გასვლა და ხიფათის ასაცილებლად მდინარეში ჯარის გაყვანის დროს, არიერგარდის უფროსობა ბაგრატიონს ჩაბარა. ბაგრატიონის მიერ უფროსობა ზურგის ჯარისა იმისი თავმდები იყო, რომ ჯარი უხიფათოდ გავიდოდა მდინარის მეორე ნაპირს.

21 აპრილს 1799 წ. თვით ბაგრატიონიც გადავიდა მდ. პოს მეორე ნაპირს თავისის ზურგის ჯარით და წაწია ქ. ალექსანდრიისკენ და ასეთის მოძრაობით ფრანგებს ქ. გენუას გზა მოუჭრა. ბევრი ეცადნენ ფრანგები გაეხსნათ გზა გენუისაკენ, მაგრამ ვერას გახდნენ. საითაც-კი გაიწევდნენ ფრანგები გზის გასახსნელად, ბაგრატიონი წინ ეღობებოდა და კრიჭას უკრავდა. მოკავშირე ავსტრიელებსაც კი ამხნევებდა და აგულიანებდა საომრად.

6 ივნისს 1799 წელს ნიჭიერმა ნაპოლეონის სარდალმა მაკდონალდმა შეუტია ავსტრიელებს ტიდონზე და სულ ერთიანად გაანადგურებდა, რომ დროზე არ მიშველებოდა სუვოროვი. გაიგო თუ არა ავსტრიელების გაჭირვება, სუვოროვი გაფრინდა ცხენოსანი ჯარით საშველად. რასაკვირველია, სუვოროვს ბაგრატიონიც თანა ჰყავდა. სუვოროვი თამამად ეკვეთა ფრანგებს და იერიში მიიტანა ცხენოსანი ჯარით, უნდოდა ცოტას ხნით შეეკავებინა ფრანგები, ვიდრე რუსის ავანგარდის ქვეითა ჯარის-კაცები მოუსწრობდნენ. როცა ავანგარდის ჯრის-კაცები დაინახა ბაგრატიონმა, ყურში უჩურჩულა სუვოროვს: ცოტას შეაჩერეთ იერიში, ვიდრე წამოგვეწევიან ავანგარდის ჩამორჩენილი ჯარის-კაცებიო, თორემ როტებში ორმოც-ორმოცს ალდათზე მეტი არ არისო. მაკდონალდს ოც-ოციც არა ჰყავს როტებშიო, უპასუხა სუვოროვმა ბაგრატიონს. — ღმერთი იყვეს შენი შემწეო და უბრძანა ბაგრატიონს იერეშის მიტანა. ბაგრატიონმაც ბრძანება აასრულა და ფრანგებს უწეს-რიგოდ დაახევინა უკან. 7 ივნისს ბაგრატიონი ხელმეორედ შეებრძოლა მაკდონალდს. ამ ბრძოლის დროს კვალად დაიჭრა ბაგრატიონი, მაგრამ არც ამ ჭრილობამ ააღებინა ხელი ამ რკინის კაცს ომიანობაზე. 4 აგვისტოს კიდევ ჰქონდა ბაგრატიონს ბრძოლა ფრანგებთან. სუვოროვის ბრძანებით, ნოვთან, 4 აგვისტოს, ისე უნდა დაეკრა ბაგრატიონს მტრისთვის, რომ წელში ველარ გასწორებულიყო.

ნოვთან ბრძოლის შემდეგ დაიწყო საარაკო ლაშქრობა სუვოროვის მხედრობისა შვეიცარიაში. მტერთან ბრძოლა ცალკე იყო და დუხჭირ ბუნებასთან ცალკე. მთა გორიან შვეიცარიაში, ხევ-ხუვებით მოძრაობა და უკან დახევა დიდის რაზმისა, რომელსაც მაშველი და ასე გასინჯეთ გზის მაჩვენებელიც არა ჰყავდა, მეტის-მეტად ძნელი იყო. სწორედ ამ ლაშქრობამ შესძინა სუვოროვს შეუდარებელ სარდლის სახელი და დიდება.

პეტრე ბაგრატიონის ღვაწლი ფასდაუდებელია შვეიცარიის ლაშქრობაში. იგი ხან ავანგარდს უფროსობდა, ხან არიერგარდს. ისე მტერთან არ იყო ძნელი ბრძოლა, როგორც პირქუშ ბუნებასთან. ვის არ ახსოვს, რა გმირობა იყო საჭირო ჯარისათვის უვნებლად და უზარალოდ გადასვლა „ეშმაკის ხიდზე“ ალპის მთებში. რუსის მხედრობამ, როგორც იყო, თავი დააძვრინა ხაფანგს და სამშვიდობოს გავიდა. პეტრე ბაგრატიონის პოლკში ცოცხალი დარჩა მხოლოდ 16 აფიცერი და 300 ჯარის-კაცი, ისე დაილია მისი ხელქვეითი პოლკი. თვით პეტრე ბაგრატიონი მესამედ დაიჭრა ამ ომიანობის დროს.

რუსეთში დაბრუნებისას ბაგრატიონი დაინიშნა ლეიბ-ეგერთა ბატალიონის შეფად. შემდეგში ბატალიონი პოლკად გარდაიქცა და სიკვდილამდე ამ პოლკის შეფად ითვლებოდა.

——

1805 წელს დაიწყო პირველი ომი რუსეთისა ნაპოლეონთან. რუსის მხედრობის მთავარი სარდლობა ჩააბარა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა კუტუზოვს. მარტო რუსეთი არ ებრძოდა ამ ჟამად ნაპოლეონს, პრუსია და ავსტრიაც იღებდნენ მონაწილეობას. რუსის მხედრობა მაინც და მაინც რიცხვ-მრავალი არა ყოფილა ამ პირველ ომში ნაპოლეონთან, სულ 40,000 ჯარის-კაცი ჰყავდა ჩაბარებული კუტუზოვს.

პეტრე ბაგრატიონმა დიდი და დაუფასებელი ამაგი დასდო რუსის მხედრობას 1805 წლის ლაშქარ-ომიანობაში, მაგრამ ამაგის თქმა ცოტაა. მისმა სამხედრო ნიჭმა და შეუდარებელმა ვაჟკაცობამ გადაარჩინა რუსის მხედრობა განადგურებას და ამოწყვეტას. თუ არ ბაგრატიონი, კუტუზოვი ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა სამშობლოში და ორმოცი ათასი ჯარის-კაციდან ეგები შიკრიკიც ვეღარ ეშოვნათ ამბის წასაღებად პეტერბურგს.

შესდგა თუ არა კუტუზოვის არმიამ ფეხი მოკავშირე ავსტრიის სამფლობელოში, კუტუზოვს ამბავი მოუტანეს, რომ ავსტრიის ჯარი უბრძოლველად დაემორჩილა და დანებდა ნაპოლეონსა ულმთან. მოკავშირე ავსტრიის ჯარის უხეირობამ ფრიად დიდს საგონებელში ჩააგდო კუტუზოვი. სრული დაღუპვა მოელოდა კუტუზოვსა და მის მხედრობას, რადგან გზა ხსნისა და თავის დაღწევისა აღარა სჩანდა. წინ შვიდი კორპუსი იდგა ნაპოლეონისა, ხოლო ზურგს უკან უშველებელი მდინარე დუნაი, რომელზედაც გადასვლა, როცა მტერი კრიჭაში გიდგია და ფეხ-და-ფეხ მოგდევს, მეტის მეტად საშიშო და სახიფათოა.

1805 წლის ლაშქარ-ომიანობაში, ჩვეულებრივ, რუსის ავანგარდს, ანუ მოწინავე რაზმს, უფროსობდა ბაგრატიონი. მაგრამ რაკი კუტუზოვი იძულებული გახდა უკან დაეხია და დუნაიში გასულიყო მოკავშირე ავსტრიელების კაპიტულაციის შემდეგ ულმთან, ბაგრატიონი ზურგის ჯარის უფროსი გახდა. 400 ვერსის მანძილზე ბაგრატიონი იკავებდა ნაპოლეონის ჯარს, აფერხებდა, წინ არ უშვებდა და ამით საშუალებას აძლევდა კუტუზოვს სამშვიდობოში გასულიყო უვნებლად და უხიფათოდ. ბაგრატიონს ოთხჯერ მოუხდა შეტაკება ნაპოლეონის სარდლებთან: ლამბახთან, ენსთან, ამშტეტტთან და კრემსთან. არ იქმნა, ვერ გასტეხეს ბაგრატიონი ფრანგებმა და ვერა სწვდნენ კუტუზოვის არმიას. ამასობაში, რაკი ზურგი გამაგრებული ჰქონდა კუტუზოვს ბაგრატიონის წყალობით, უზარალოდ გავიდა რუსის ჯარი დუნაიში. სარდალმა კუტუზოვმა და მისმა მხედრობამ თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ ისევ მალე ჩავარდნენ გაჭირვებასა და იწროებაში. სატახტო ქალაქი ავსტრიისა ვენა დანებდა ნაპოლეონს და რაკი აქ საქმე აღარა იყო-რა, ნაპოლეონი გავიდა დუნაიში და რუსის მხედრობას გზა მოუჭრა ქ. ბრიუნნისკენ. უარეს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ რუსები, მაგრამ როგორც პირველად, აგრედვე ეხლაც იხსნა იგინი ამოწყვეტა-განადგურებისაგან პეტრე ბაგრატიონმა, მფარველ ანგელოზივით რომ დასტრიალებოდა რუსის მხედრობას.

კუტუზოვმა უბრძანა ბაგრატიონს—ნაპოლეონი უნდა შეაფერხო როგორმე, რომ საშუალება მოგვცე სამშვიდობოში გავიყვანო ჯარიო. ამის გულისათვის ნუ მოერიდები ნურაფერს, თუნდაც მთელი რაზმი გაგიწყვიტონ უკანასკნელ ჯარის-კაცამდეო. კუტუზოვმა პირსჯვარი გადასწერა, როგორც სასიკვდილოდ გამზადებულს და ისე გაი-

სტუმრა ბაგრატიონი საბრძოლველად და რუსის ჯარის დასახსნელად. მთავარ-სარდალი კუტუზოვი, აგრეთვე მთელი მისი ლაშქარი ისე უცქეროდნენ ბაგრატიონს, როგორც სასიკვდილოდ განწირულს. ყველა იმ აზრისა იყო, რომ ხსნა რუსის ლაშქრისა დაღუპვისაგან დამოკიდებულია მარტოოდენ ბაგრატიონის გაუტეხელობაზე.

პეტრე ბაგრატიონმა შეჰფიცა კუტუზოვს „ჰანიბალის ფიცით“—ბრძანებას ავასრულებ და რუსის ლაშქარს ვიხსნი გაწბილება-დაღუპვისაგან.

4 ნოემბერს 1805 წელს მოხდა სოფელ შენგრაბენთან ის საარაკო ბრძოლა ნაპოლეონისა ბაგრატიონთან, რომელიც ასე თვალწარმტაცად და დიდის ხელოვნებით ეპოსის კალოთი აქვს დასურათებული გრაფ. ლ. ნ. ტოლსტოის თავის უკვდავ რომანში „ომი და ზავი“.

კუტუზოვისათვის საჭირო იყო, რომ ბაგრატიონს ცხრა საათით შეეფერხებინა ნაპოლეონი, რომელსაც 30,000 ჯარის კაცი ჰყავდა, ხოლო ბაგრატიონის რაზმში ითვლებოდა 6,000. მთელი დღე სალს კლდესავით იდგა ბაგრატიონი და ფეხი ვერ მოაცვლევინა მტერმა. ფრანგებმა მაშინაც კი ვერ შეარყიეს ეს საოცარი მეომარი და სარდალი, როცა ზურგიდან მოუარეს და წრე შემოავლეს მის მცირე რაზმს. სჩანს, რომ ბაგრატიონის დამარცხება შეუძლებელი ყოფილა. ან სიკვდილი, ან გამარჯვება, ესა ყოფილა ბაგრატიონის „მამაო ჩვენო“ და „მრწამსი“. ისეთი მცნება, როგორიცაა: მტერს დანებდი, ან ტყვედ ჩაუვარდი ხელშიო, ბაგრატიონის ტიბიკონში არა ყოფილა დაწერილი. ამბავი როცა მოუვიდა, რომ კუტუზოვი სამშვიდობოში გავიდა და შიში აღარფრისაო, მხოლოდ მაშინ გადასწყვიტა ბაგრატიონმა გასცლოდა იმ ჯოჯოხეთსა და ცეცხლის გეენას, რომელშიაც მთელი დღე იმყოფებოდა. ფრანგები რკინის რგოლივით გარს შემოერტყნენ მის პატარა რაზმს და თითქმის შეუძლებელი იყო, რომ ბაგრატიონი გასხლტომოდა ხელიდან მტერს. მაგრამ შეუძლებელი უბრალო მამაკვდავისთვის შესაძლებელი ყოფილა პეტრე ბაგრატიონისთვის. ხიშტების შემწეობით გაარღვია რკინის რგოლი ფრანგის ჯარისა და გზა გაიკვლია ცეცხლ მოდებულ სოფლებზე: შენგრაბენზე და გრუნდზე და მივიდა მთავარ ლაშქართან. ეს რაა, ასე გასინჯეთ, ტყვეებიც კი წამოასხა ბრძოლის ველიდან და თან მოიტანა სამხედრო ალაფად ერთი ბაირაღი.

სოფელ შენგრაბენთან ბრძოლა და გმირობა პეტრე ბაგრატიონისა უნებლიედ მოგვაგონებს პატარა კახის ბრძოლას აზატ-ხანთან ქ. ერევნის სიახლოვეს. ირაკლისაც როგორც პეტრეს ესე 6000 ჯარის-კაცი ჰყავდა. როგორც პეტრეს შემოერტყნენ ფრანგები გარს, ისევე ერეკლეს მოუარეს ყიზილბაშებმა ირგვლივ, მაგრამ ბაგრატიონებმა სამაგალითოდ გაიმარჯვეს აქაც, აზიაში და იქაც, შორეულს ევროპაში.

სოფელ შენგრაბენთან ბრწყინვალე გამარჯვებისთვის გენერალ-მაიორი პეტრე ბაგრატიონი დააჯილდოვეს გენერალ-ლეიტენანტის ჩინით.

ხიფათსა და განსაცდელს გადარჩომილი კუტუზოვი შეუერთდა რუსისავე ცალკე ლაშქარს, რომელსაც უფროსობდა გრაფი ბუქსგევდენი. რაკი მოლონიერდა კუტუზოვი ბუქსგევდენის რაზმის შეერთებით, რუსის მხედრობამ კვლავ სატევი ომი დაიწყო. ბაგრატიონი ჩვეულებრივ მოწინავე რაზმის უფროსად გახდა და აუსტერლიცისაკენ გაემართა. გზა-გზა ბაგრატიონი ორჯელ შეხვდა ფრანგებს და ორჯელვე დაამარცხა, ერთხელ ვიშაუსთან და მეორეჯერ რაუსნიცთან.

აუსტერლიცის ბრძოლა ისტორიული ბრძოლაა. იგი მოხდა 20 ნოემბერს 1805 წელს. აქ ნაპოლეონმა დაამარცხა სამის ხელმწიფის შეერთებული ლაშქარი: რუსისა და ავსტრიის იმპერატორთა და პრუსიის კაროლისა. ამ ისტორიულ ბრძოლის დროს ბაგრატიონის ავანგარდს ეჭირა მოკავშირეთა ლაშქრის სულ განაპირა მარჯვენა ფრთა ნაპოლეონი ეკვეთა მოკავშირეთა ლაშქრის შუაგულს, ანუ ცენტრს, გაარღვია იგი და ცხვრებივით გაირეკა წინ მოკავშირენი. ცენტრის გარღვევის შემდეგ ჯერი ბაგრატიონის მარჯვენა ფრთაზე მიდგა. გამარჯვებული ნაპოლეონი ეტაკა ბაგრატიონს, მაგრამ გმირს გმირი გადაეღობა წინ და გამარჯვება არც ეგრე ადვილი იყო. ბაგრატიონმა იმდენს ხანს შეაფერხა გამარჯვებით გალაღებული ნაპოლეონი, ვიდრე დამარცხებული მოკავშირენი გონს მოვიდოდნენ და წესითა და რიგით უკან დაიხევდნენ. მაშასადამე აქაც, აუსტერლიცთან, ბაგრატიონს ბედმა ის ხვედრი არგუნა, რაც წინა ომებში. თვისის რაზმით არიერგარდში მოექცა და ფარად გაუხდა უკან დახეულს და გზა-კვალ დაბნეულს ჯარს.

მოკავშირეთა ლაშქარი გადარჩა განადგურებას აუსტერლიცთან პეტრე ბაგრატიონის წყალობით და ასეთის დიდის ღვაწლისათვის იგი დაჯილდოვა იმპერატორმა ალექსანდრემ ისეთი ძვირი და იშვიათი ჯილდოთი, როგორიცაა მეორე ხარისხის წმ. გიორგის ჯვარი.

ალ. ფრონელი.

დემაგოგია და ერის ღალატი

ლ. ანდრონიკაშვილი რომ საშიში მეტოქეა კარლო ჩხეიძესი, ეს იქიდანა ჩანს, თუ რა გაცოფებულნი ეცნენ ჩვენი დასელები ამ ადამიანს. „ჩვენი არჩევანის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია, რამდენიმე, ცილის წამებით აღსავსე, წერილი სადაც გონება დაკარგული დასელები იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება ავად მოაჩვენონ ქართლ-კახეთის ამომრჩეველთ ლ. ანდრონიკაშვილი.

მაგრამ ეს ბრალდება, ეს ცილისწამება, ეს მათი საარჩევნო ფანდი და ქამანდი ისე უშნოდ, ულამაზოდ არის შეთითხნილი, რომ გაოცებული ჰკითხულობ: ნუ თუ ადამიანის დასამცირებლად და გასაწბილებლად მარტო ეს საბუთებია საკმაო? ნუ თუ ამით უნდა დასცენ ლ. ანდრონიკაშვილი, ნუ თუ ამაზედ აშენებენ ისინი თავიანთ მომავალ გამარჯვებას?! მთელ ქართველ სოცალ-დემოკრატიას ერთი ლარი გაუბავს; ყველას ამ ლარზედ უკიდია ხელი და ყველა ერთხმად იძახის: ვინ არის ანდრონიკაშვილი, ქართველი ხალხი მას არ იცნობს, ქართველი ხალხი მარტო ჩხეიძეს იცნობსო. მაგრამ, რადგანაც სოციალ-დემოკრატებს ყველა მისი მომაკვდინებელი ცოდვა სათითაოდ აქვთ ჩამოთვლილი, იძულებულნი ვართ ჩვენც სათითაოდ განვიხილოთ ეს ბრალდებანი და ყველაზედ ჯეროვანი პასუხი გავცეთ.

პირველი მომაკვდინებელი ცოდვა ანდრონიკაშვილისა ისა ყოფილა, რომ იგი პეტერბურგში სცხოვრობს. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ანდრონიკაშვილმა არ იცის ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი, მან არ იცის რა ესაჭიროება ჩვენ ხალხს. საუკეთესო წარმომადგენელნი ქართულის აზროვნებისა: აკადემიკოსი მარრი, პროფესორი ცაგარელი, ივ. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი პეტერბურგში სცხოვრებენ. მოდი და ამ ზემო დასახელებულ პირთ გადაუდგეს წინ ჩვენებური დასელი, რომელიც „ლოტკის გორას“ არ გასცილებია, და საქართველოს ჰირ-ვარამზედ ლექცია წაუკითხოს. განა ეს გარემოება ხელს უშლის ამ პირთ, ან ლ. ანდრონიკაშვილს ზედმიწევნით იცოდნენ საქართველოს მდგომარეობა? სიახლოვეს რომ ჰკუა ჰქონდეს ერთი თვალი მეორე თვალს დაინახავდა! განა თვით დასელები არ ამბობენ, რომ რუსეთშიაც და საქართველოშიაც იმდენად ერთნაირია პოლიტიკური პირობები, რომ საქართველოს განსაკუთრებული დეპუტატი არ ეჭირვებაო! განა ისინი არ ემხრობიან იმ აზრს, რომ საქართველოს ინტერესებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტი უფრო კარგა დაიცავს ვიდრე რომელიმე ეროვნული პარტია და სულ ერთია პეტერბურგელი იქნება მისი წარმომადგენელი, თუ თბილისელიო. მაშასადამე, ეს ბრალდება მოკლებულია ყოველ-ვე საბუთს და ერთ ქრთილადაც არა ღირს. ამ საბუთით ანდრონიკაშვილის გაშავება ყოვლად შეუძლებელია!

მეორე მომაკვდინებელი ცოდვა არა ნაკლებ საშიში ყოფილა პირველზედ. ყური დაუგდეთ! რა უყოთ, რომ ანდრონიკაშვილი ცნობილი ვექილია. მაშასადამე, მცოდნე და მჭერმეტყველი დამცველი იქნება ქართველ ერის ინტერესებისაო. განა ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ანდრონიკაშვილს მუქთად დაეცვას თავის კლიენტიო. ჩვენ ვსთხოვთ ყველა ამომრჩეველს განსაკუთრებითი ყურადღება ამას მიაქციოს, რადგან ეს არის უმთავრესი ბრალდება, რომლითაც სოციალ-დემოკრატებს ანდრონიკაშვილის გაშავება სურთ: რაკი მას არც ერთი კლიენტი მუქთად არ დაუცავს, ამიტომ არც დეპუტატობის ღირსიაო. თავი დავანებოთ იმას, რომ სოციალ-დემოკრატებმა ზედმიწევნით იციან რამდენი მუქთი საქმე დაიცვა ანდრონიკაშვილმა, რამდენი ფასიანი. ვსთქვათ, რომ მას არც ერთი მუქთი საქმე არ უწარმოებია. გამოდის, რომ ყველა უპრაქტიკო ვექილი, რომელიც რეკლამისათვის მუქთად იცავს კლიენტს დეპუტატობის ღირსია და საუკეთესო წარმომადგენელი მთელის რუსეთის ადვოკატურისა კი არა. მაგრამ, როგორ გგონიათ ბატონებო, რომელიმე თქვენ ვექილს, რომ გამოეცხადებინა სურვილი,—მუქთად დავიცავ კლიენტსაო, განა მიიწვევდნენ იმ ცნობილ პოლიტიკურ პროცესებში, რომლებშიაც ანდრონიკაშვილმა საქვეყნოდ თავი ისახელა და ამ რიგად ხელი შეუწყო განმათავისუფლებელ იდეას?! მაშასადამე, მარტო „მუქთად“ ლაპარაკი ჯერ კიდევ ღირსების მაჩვენებელი არ არის. ჩვენში ამბობენ: შაური მიეც და კაი კაცს ელაპარაკეო!

მესამე მომაკვდინებელი ცოდვა ანდრონიკაშვილისა ისა ყოფილა, რომ მას საქართველოში არავინ იცნობს და როგორ შეიძლება ასეთ კაცს მიენდოს დეპუტატობაო. როგორ მოხდა, რომ საქართველო არ იცნობს თავის საუკეთესო შვილს, რომელსაც მთელი რუსეთი იცნობს! ვინ არ იცის ჩვენში მისი სახელი? ყველამ! და ყველაზედ კარგა

კი თვით სოციალ-დემოკრატებმა. განა იცნობდა საქართველო ევგენი გეგეჭყორს ამ ხუთი წლის წინად? დანამდვილებით შეძლება ვსთქვათ, რომ არა. განა იცნობდა საქართველო გაკრეჭილ მღვდელ წერეთელს და კაციაშვილს? დანამდვილებით ვამბობთ, რომ არა! თქვენ კი ისინი დიდ „საზოგადო მოღვაწედ“ და ყველასაგან ცნობილ პირებად დასახეთ და სათაბიროში გაგზავნეთ. სულ სხვაა ლ. ანდრონიკაშვილი. მას თქვენი რეკლამა არა სჭირია. იგი ჯერ დეპუტატადაც არ იყო ნახსენები, როცა მას იცნობდა მთელი მოწინავე რუსეთი; რაც შეეხება საქართველოს, განა თქვენ იგი დაგ'ჯერებთ იმ სიცრუეს, რომ იგი ნაკლებ ცნობილია ჩვენში, ვიდრე გეგეჭყორი, ჩხეიძე, მღვდელი წერეთელი და კაციაშვილი? მაშასადამე, არც ეს არის საბუთი, რომ ჩხეიძე ვავათეთროთ და ანდრონიკაშვილი გავაშავოთ!

ეს ხომ ნახეთ როგორ „გაანიავეს“, რა „ძლიერის“ საბუთებით და მოუგერებელ იერიშით გააკამტვერეს სოციალ-დემოკრატებმა ანდრონიკაშვილი. ხომ ნახეთ როგორ „შეაჩვენეს“ ხალხის თვალში, რა „ცოდვები“ გამოუნახეს, რა „თავსლაფი დაასხეს“, თუმცა პეტერბურგში ცხოვრება პოლიტიკურ მოღვაწისათვის ნაკლი არ არის, თუმცა „მუქთად“ ლაპარაკი ვექილისთვის დეპუტატობის ხიდი არ არის და თუმცა ანდრონიკაშვილს საქართველოში ყველა იცნობს, მაგრამ რადგანაც ამის მეტი არა ეთქვათრა, ისინიც ამ ხავსს მოეკიდნენ და გაჰყვნენ თავიანთ სიცრუისა და თაღლითობის წყალს. ახლა ნახეთ როგორ ამკობენ კარლო ჩხეიძეს, ამ თავიანთ სათაყვანებელ ადამიანს, რომელიც მთელ საქართველოში ცნობილია თავის დემაგოგობით. თუ რამდენად დემაგოგია ეს ვაჟბატონი, ეს იქიდანაც კი სჩანს, რომ თავის თავს კარლ მარქსის სახელი უწოდა და ნიკოლოზ ჩხეიძის მაგივრად კარლ ჩხეიძე გახდა.. მოდი და ნუ იტყვი: სად ნიკოლოზი, სად კარლი! მაგრამ დავანებოთ თავი ამას, ვსთქვათ რომ ჩხეიძე კარლია და მეტრიკაშიაც ასე უწერია. გადავშალოთ ახლა მისი „ნამსახურებითი ფურცელი“, რომელზედაც ასე ძალიან ყვირის სოციალ-დემოკრატების „ჩვენი არჩევანი“. თქვენ გგონიათ მართლა ამის „ნამსახურებას“ ამოიკითხავთ ამ ფურცელში“? რომ დიდი საზოგადო მოღვაწე საქართველოში ის არა ყოფილა, ეს ჩვენ საქართველოშიაც კარგათ ვ'ცით: მაშ რითია მდიდარი ეს მისი „ნამსახურებითი ფურცელი“. ცარიელი ტრაბახით, ცარიელი სიცრუით. ჩხეიძეს მთელი რუსეთი იცნობს. განა ტიმოშკინს კი არ იცნობს რუსეთი? მაშასადამე—საქმე მარტო ის კი არ არის მთელი რუსეთი გიცნობდეს, საქმე ის არის, როგორ გიცნობს რუსეთი? რუსეთი ისეთი ქვეყანაა, სადაც ყოველ „ზემსკი ნაჩალნიკს“ და „სტანავოი პრისტავსაც“ შეუძლიან ცნობილი გახდეს.

თუ საქართველოს დეპუტატი უარჰყოფს თავის ხალხის ინტერესებს, მას არამც თუ გაიცნობს რუსეთი, არამედ შეიყვარებს კიდეც და კარლო ჩხეიძესაც ასე დაემარ'თა. განა მისი მომხრე არ არის „Русское Слово“, ეს რუსეთის იმპერიალიზმისა და ცენტრალიზმის ორგანო? რათა? იმიტომ რომ „კარლო“ ჩხეიძე ცენტრალისტია, ის უარჰყოფს საქართველოს, ის ისე გასცვლის საქართველოს ინტერესებს თავის პარტიის ინტერესებზე, როგორც გასცვალა თავისი ნათლობის სახელი. მოდი და ენდეთ ასეთ კაცს!

სოციალ-დემოკრატები ამ ბოლო დროს ისე გაპატრიოტდნენ, რომ სამაზრო პატრიოტიზმსაც კი ქადაგებენ. როგორ, აქ ამოდენა დამსახურებული ხალხი ვართ, ამოდენა „ნამსახურებითი ფურცლებით“ და თქვენ კი დეპუტატი პეტერბურგიდან მოგყავთო. Sancta simplicitas! მაგრამ აქ ისეთი ღალატი იჩიკება, რომ უნდა შეეჩერდეთ ცოტა ხანს. ამით სოციალდემოკრატიას იძის თქმა სურს, ვითომ ანდრონიკაშვილი ქართლ-კახეთს არ ეკუთვნის, ვითომ ანდრონიკაშვილი ვიღაც გადამთიელია. იგი „პეტერბურგელია“ და, მაშასადამე, ზნეობრივი უფლება არა აქვს იყოს ქართლ-კახეთის დეპუტატად, აი სადა მარხია ძაღლის თავი, აი მათი უმსგავსო და უსინდისო აზრი, აი მათი პროვოკაციული ანგარიში, მათი სამაზრო პატრიტიზმი! გამოდის, რომ ქართლ-კახეთიდან „კარლო“ ჩხეიძეს კი აქვს უფლება დეპუტატებისა და ლ. ანდრონიკაშვილს კი არა. მაგრამ რაკი საკითხი თვით სოციალდემოკრატებმა დააყენეს ასე, რაკი მათ ანდრონიკაშვილი „ვარიაგად“ მონათლეს და გადამთიელდა, ჩვენ ვალდებულნი ვართ ერთი მათი თაღლითობა აშკარა და საქვეყნო გავხადოთ.

ეს პარტია იმდენად მოძულია საქართველოსი, იმდენად უარმყოფელია მის ინტერესებისა, რომ, მართლაც, მისთვის სულ ერთია ვინ იქნება დეპუტატი, ჩვენებური თუ გადამთიელი. ამიტომაც ისინი ჩუმის პირობებით შეეკვრნენ სომხის ნაციონალისტს, ქართველ ხალხის დაუძინებელ მტერს ა. ხატისოვს და მის ამორჩევა უნდათ, თუ კი დაატვეს, რომ „კარლო“ ჩხეიძე მარცხდება. აი, რა საფრთხეს უმზადებენ ისინი ქართველ ხალხს, აი, რა სირცხვილი უნდა მოახვიონ ხალხს, თუ მართლა ამომრჩეველი ფრთხილად არ მოეკიდა თავის წმიდა მოვალეობას. ვაცხადებთ ამას ქართველ ამომრჩევლის საყურადღებოთ, მზადა ვართ მოწმეებით და საბუთებით დავამტკიცოთ მათი ღალატი ქვეყნისა და დემოკრატიის წინაშე და თან მოვითხოვთ ქართველმა ხალხმა გადაჭრით მოსთხოვოს სოციალდემოკრატიას ამის პასუხი,

საფუძველი დანიის აგრარულ რეფორმისა

(1769—1861)

მე-XVII საუკუნის ბოლოს და XVIII დასაწყისში პატარა დანია საშინელ ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა. საშუალო მოსავალი განახევრებული იყო. მუდმივი ხვნით მიწა სრულიად გამოფიტული. პატივდებოდა მიწის მხოლოდ $^1/_{12}$—$^1/_8$ ნაწილი. საქონელს დიდ-დიდ ნახირებად აძოვებდნენ, ძროხები ჟიჟმატი და უხეირონი იყვნენ. მდიდრდებოდნენ მხოლოდ კერძო პირნი, ხალხი კი თან და თან ღარიბდებოდა და ამ სიღარიბესთან ერთად, უფრო ხეპრედ იქცა, ირყვნებოდა. გლეხობამ ლოთობას მიჰყო ხელი. მეურნეობა თან და თან იღუპებოდა. ყველგან სიღატაკე და საკოდაობა დატრიალდა

ამ აუტანელ მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი იყო დანიის ხალხის მიწის უწესო მფლობელობა (რა სავსებით წააგავს ამას დღევანდელი ჩვენი ქართული სინამდვილე!). ქვეყნის ამისთანა მდგომარეობა იწვევს დანიის საუკეთესო მოღვაწეთა ყურადღებას და იწყობა ენერგიული მუშაობა საჭირო აგრარულ რეფორმებისათვის, რომლის დიდებული ნაყოფი საფუძვლად დაედო ეხლანდელს, საუცხოოდ მოწყობილ დანიის ცხოვრებას.

ქვემოდ მოყვანილ ნახატიდამ მკითხველი ნათლად წარმოიდგენს ამ დიდებულ რეფორმის ხასიათს.

მამულის პლანი დანიის ერთ ერთ სოფლის საზოგადოებისა აგრარულ რეფორმამდე.



1. სოფლის შენობანი ერთ ადგილს არიან შეკუჭებულნი.
2. გლეხთა მიწები ძალიან გაფანტულია, მაგალითად გლეხი ფრიცი მფლობდა 25—28 ვიწრო ნაკერს ერთი და იგივე ნომრით ნაჭვენებ ნაწილებში.
3. ბევრი ადგილები ბუჩქნარით მოფენილნი და უვარგისნი იყვნენ.

პლანი იმავე სოფლის საზოგადოებისა აგრარულ რეფორმების შემდეგ.



1. სოფლის შენობანი გადატანილია გლეხებისთვის დანაწილებულ მიწებში.
2. თვითეული ნაკერი შემოიღობა.
3. გლეხის შენობათა შორის გზები გაკეთდა.
4. ბუჩქნარიანი და უვარგისი ადგილები სრულიად გაჭრნენ.

წვრილი მესაკუთრეობის და საფერმო მეურნეობის პრინციპმა ღრმად გაიდგა ფესვი დანიის ცხოვრებაში და მასზედ აღმოცენდა დღევანდელი, ყველასათვის სამაგალითო კოოპერატიული სამეფო.

დ. ვაჩნაძე.

სურათი ინგლისის სოფლისა

ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში პატარა ქალაქი, დაბა და სოფელი ისე განირჩევა სატახტო და უმთავრეს ქალაქებისაგან, როგორც ორი სულ სხვა და სხვა ქვეყნის კუთხე. მეტადრე ჩვენი სოფელი, ყოველგვარ ჰიგიენურ საშუალებას, სისუფთავეს, სახსარს და განათლებას მოკლებული. სატახტო და უმთავრესი ქალაქი რაღაც არაჩვეულებრივ, ზღაპრულ ადგილს წარმოადგენს სოფელთან შედარებით. ასე არ არის ინგლისში: აქ პატარა ქალაქიც, დაბაც და სოფელიც ფეხ-და-ფეხ მისდევს სატახტო ქალაქს კულტურაში და ხან-და-ხან წინაც უსწრობს. აი რასა სწერს ერთი ინგლისში მცხოვრები კორესპონდენტი რუსული გაზეთისა.

რუსეთიდან ჩამოსულს ყოველთვის ისეთი წარმოდგენა აქვს, რომ პროვინცია რაღაც ჭუჭყიანს, მოუხეშავს, უზრდელს წარმოადგენს და სატახტო ქალაქი კი სისუფთავის, ზრდილობის, სილამაზის წარმომადგენელია. სოფელში სიბნელე და სიბეჩავე,—ქალაქში კი განათლება, კულტურა, თავისუფლებაა.

ამისთანა წარმოდგენის მქონეს, თვალი და გული ვერ დაუჯერებია, რომ ინგლისის სოფელი ბევრჯელ უფრო მდიდარი, კულტუროსანი და ფაქიზია, ვიდრე ქალაქი.

ამას წინად დავსახლდი ქ. შეფილდის ახლო და იქიდან ყველა ჩემ ნაცნობთან, რომელნიც გაფანტულნი იყვნენ გარშემო მშვენიერ მიდამოებში სადარბაზოდ თავისუფლად შემეძლო სიარული, როგორც ფეხით ისე რკინის გზით და ავტომობილით

რაღა თქმა უნდა, გზები ყველგან მშვენივრად მოკირწყლული, გასუფთავებული და მინდორ-ველებში, ტყეში სასიარულო ვიწრო გზა-ტკეცილები ლამაზად გატკეპნილია. მაგრამ მეტად გამაკვირვა უზარმაზარმა სარკემ, ჯვარედინ გზის პირად მაღლა ბოძზედ გაკეთებულმა. ადგილი მივარდნილი იყო, ორი გზა გონიოს მსგავსად ხვდებოდა ერთმანეთს, თხილნარით და ნეკერჩხალით დაფარულ გორაკის ძირში. რისთვისაა ეს სარკე? ვკითხავდი ჩემ თავს და თან ვხედავდი მიგა. ორი დაქანებული გზის შუა, სოლივით ჩაჭედილ ჭალას. ბევრს ვეცადე, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი რისთვის უნდა ყოფილიყო აქ სარკე. ბოლოს გავბედე და პირველ შეხვედრილ მგზავრებს ვკითხე. ესენი იყვნენ შეგირდები, სუფთად ჩაცმულნი, პალტოებით — გამოწყობილნი, აბგებით ზურგზე და ქოლგებით ხელში. ისინი მღეროდნენ და მხიარულად მიდიოდნენ იმის და მიუხედავად, რომ კოკის პირული წვიმა ასხავდა...

— რა მიზნისათვისაა ეს სარკე ჩამოკიდებული, ვიკითხე ისეთის კილოთი თითქო მათა ვცდიდი; რომ ჩემი უმეცრება არ გამემჟღავნებინა.

— ავტომობილებისთვის, მოკლედ მომაჭრა ერთმა.

— როგორ ავტომობილებისათვის, გავიკვირვე მე. და ყველამ შეჯიბრებით დამიწყეს ახსნა, რომ ამ სარკეში ხჩანს ერთი გზიდან მეორე, რომელთაც ტყე ჰყოფს და მომავალ ავტომობილს ან ეტლს ყოველთვის შეუძლია დაინახოს, თუ მეორე გზიდანაც მოდის ვინმე და ამგვარად ხიფათს და უბედურებას აცდეს. აი რისთვისაა სარკე.

ნაცნობ ფერმერთან რომ მივედი, დაწვრილებით მაამბო, ვინ და როგორ გააკეთა ეს სარკეები; ამისთანები ეხლა ათასობით არის ჩვენი სოფლის გზებზედაო, მითხრა.

— მერე არა სტეხავენ განა?—გავიკვირვე მე, ხომ შეიძლება გამვლელ-გამომვლელმა ქვა ესროლოს და დაამსხვრიოს.

— რასა ბრძანებთ, ჩვენში მაგისთანა ხალხი არ არის და არც მომხდარა როდისმე სარკის გატეხა. ეგ შეიძლება სადმე ქალაქში გასტეხონ ხულიგანებმა და აქ მაგისთანა არავინ არის.

— რატომ?

— აბა საიდან გაჩნდება მაგისთანა ადამიანი? ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ, ყველა გაკეთებულია, ყველგან საქმე ბევრია და იშოვება და უსაქმურის, გაჯავრებული კაცის მეტი მაგას ვინ რად ჩაიდენს. აი ორი დღეა ჩვენ გზებზედ დადიხართ, განა შეგხვედრიათ ან მთვრალი კაცი, ან დაგლეჯილ ტანისამოსიანი შეგირდი, ან მშიერი ვინმე? არც ერთი დედა არ გაგზავნის ბავშვს სკოლაში პირდაღებული წაღებით ან ჭუჭყიანი საყელოთი და ბედის მომდურებული ვინ არის?

ჩვენი უბედურება მარტო უცხო მოხეტიალე ხალხისაგან თუ წარმოსდგება რამე, თორემ აქაურები არას დააშავებენ. მაგრამ უსაქმურ უცხოელებისათვისაც უკანასკნელ დროს ყველგან გამართულია თავშესაფარები, სადა შეუძლიათ ყოველთვის საქმისა და საკვების შოვნა. ამისათვის მხოლოდ ბილეთია საჭირო კონსტებლისა.

— მერე განა მშიერი დაუწყებს ძებნას კონსტებლს. ან სად არიან, როცა მთელი დღეა მოვდივარ, რამდენიმე სოფელი გამოვიარე და არც ერთი პოლიციელი არ შემხვედრია.

— ან რად შეხვდებით დღისით; ჩვენ სპარსეთში ხომ არა ვართ, რომ გზების დაცვა იყოს საჭირო. და თუ კი ვისმეს დასჭირდება, კონსტებლი აქვეა,—ყველა ფერმერმა იცის, სადა სდგას და ტელეფონითაც შეიძლება გამოიხმოთ. დღისით, მართალია, არ დადის, მაგ-

რამ საღამოთი და ღამე ველოსიპედით რამდენჯერმე მოივლის ხოლმე მთელს თავის უბანს და სხვებსაც გამოუხმაურებს. ამ გვარად მთელი არე უზრუნველყოფილია.

ჩემმა ფერმერმა საღამოთი დამალევინა ჩაი და წასვლის წინ მთხოვა „ბალზე“ დარჩენა.

მე გამიკვირდა და დავრჩი ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. მართლაც 8 საათზედ წავედით სოფლის „კლუბში“, რომელიც 3/4 ვერსით დაშორებული იყო ჩემი ნაცნობის ფერმას, — იქ სუფთად ჩაცმული მუშები, სოფლელები კითხულობდნენ გაზეთებს, წიგნებს, თამაშობდნენ, ბაასობდნენ. კვირაში იხდიან ორ პენსს და ამ ფასში ყოველ საღამოს შეუძლიათ კლუბში სიარული. თვეში ორჯელ-სამჯერ იმართება „ბალი“ და მაშინ ქალი და კაცი, ყმაწვილი და ხანში შესული ერთნაირად მხიარულობენ, ცეკვავენ და თამაშობენ მუსიკაზე; ყველანი სუფთად და კოხტად ჩაცმულნი, მოღიმარნი და კმაყოფილნი. ცეკვის წინ გაიმართება ხოლმე ქაღალდის თამაში, რას მეოხებითაც ყველანი ერთმანეთს ეცნობიან და ეს ჰქმნის საერთო მხიარულებას. დამსწრეთ ურიგებენ ყავას, ბისკვიტებს ლიმონადს. ვინც მეტჯერ მოიგებს ქაღალდში — იმათ საჩუქრებს აძლევენ.

ყველანი კარგად ცეკვავდნენ ამ საღამოს და მათმა გრაციამ გამაკვირვა.

— რა გიკვირთ, მითხრა ვიკარიმ, მე და ჩემი ცოლი ვასწავლით.

— თქვენა?

— დიახ, დიახ! იქნება გგონიათ, რომ მე არ ვიცი ცეკვა? მღვდელი და ცეკვა? ან რა იყო აქ გასაკვირი: ჩემ წინ მოგვი კი არ იდგა, არამედ საზოგადოების უბრალო წევრი, კოხტად და ერის კაცად ჩაცმული.

— ზოგი ქალაქშიაც კი მიდის ცეკვის სასწავლებლად. აგერ იმ ყმაწვილმა კაცმა, მაგ. რამდენი ფული დახარჯა მაგაზედ და მაინც დათვივით მოუხეშავი დარჩა.

ბალი კიდევ ორ საათს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ მე მეჩქარებოდა, დამიღამდა და გამოვემშვიდობე მღვდელს და ჩემ ნაცნობ ფერმებს. ეტლმა გამარბენინა მშვენიერი გზატკეცილი რკინის გზამდის. შეფილდში მოუსწარი კიდევ უკანასკნელ ტრამვაის, რომელმაც ჩემ როტერგემში წამიყვანა. ტრამვაიში შევნიშნე ერთი საყურადღებო განცხადება: „მგზავრებსა ვსთხოვთ სისუფთავე დაიცვან და ბილეთებს ვაგონში და ქუჩაში ნუ გადაჰყრიან. ამისათვის არის ცალკე ყუთი ბაქანზედ“.

მართლაც, ყველა მგზავრი, როცა გადიოდა, თავის ბილეთს იმ ყუთში აგდებდა.

— ისწავლე ლონდონო! ათავებს ირონიულად კორესპონდენტი.

ჩვენ რაღა გვეთქმის ამის შემდეგ, თუ ლონდონსაც სჭირია სწავლა ინგლისის სოფლისაგან?!...

ლიხი.

ნავთის სამეფო

წერილი I.

კარგა დიდ, მაგრამ ოღრო-ჩოღრო ადგილზეა გადაჭიმული ქალაქი ბაქო თავისი 120 ათასი მცხოვრებით; მისი საერთო გამოხატულება უფრო აზიურ ქალაქს წააგავს. თეთრად ნალესი სახლები ერთი-მეორეს ეცილება სისპეტაკე-სიდიადეში, მაგრამ ამ ძვირფას და უზარ-მაზარ შენობათ სისპეტაკე-სიდიადეს უკარგავს უსახურობა. აქ სახურავიან სახლებს იშვიათად შეხვდებით, რადგან ხშირად ძლიერი ქარები იცის. ქალაქს ბუნებაც შემოსწყრომია, ერთი უბრალო ხეც კი არ მოიძებნება, გარდა გუბერნატორის ბაღისა, რომლის შენახვაზედ ქალაქი აუარებელ ფულსა ხარჯავს. ქალაქს არც სასმელი წყალი აქვს; მცხოვრებნი სვამენ მარილ გაცლილ ზღვის წყალს, რომელიც იწმინდება არტურ-კოპპელის წყლის საწკნობ ქარხანაში. მარტო უკანასკნელ დროს გამოჰყავთ შოლლარის წყაროებიდან სასმელი წყალი, რომელზედაც უკვე მეორე წელიწადია მუშაობენ. შოლლარი მდებარეობს კავკავის სიახლოვეს და ბაქოზედ დაშორებულია 180 ვერსით. აქედან მილებით წყლის გაყვანა ქალაქს უჯდება ოთხ მილიონამდე.

ბაქოში ცხოვრება მუდამ აფორიაქებულია, განუწყვეტელი ორონტიალით ყურთა სმენაა დახშული. აქ ცხოვრება დუღს და გადმოდის, მას არას დროს არა სძინავს; დიდი, პატარა, მუშა, ინტელიგენტი — ყველა ერთმანეთში არეულა და დილის ალიონიდან საღამოს მწუხრამდე, საღამოს მწუხრიდან დილის ალიონამდე აჩქარებული სადღაც მიისწრაფვის, სადღაც მიილტვის, რა თქმა უნდა ფულს ეტანება და გაათასკეცებული სიმდიდრის სურვილი მიაქანებს მას. ვინ, რა რჯული გინდათ, რომ ათასნაირ საქმეში, კომერციაში და კომბინაციაში არ იყვეს ჩაბმული. ნავთი, ბირჟა, აუარებელი სპეკულიაციები, იჯარები, ქარხნები, სახელოსნოები, ფაბრიკები — აი მთელი აზარმაცი ბაქოს ცხოვრებისა.

დიახ ბაქო „ფულის ქალაქია“, ფულის საკურთხევლად გადაქცეული და ამ მდიდარი ქალა-

ქის ფეხ ქვეშ, თითქოს ბუნების სიძლიერე ფულს დაუმონებიათ, დინჯად გაშლილა, განაბულა და მიმკვდარებულა ზღვა; მაგრამ როკა დაუქროლებს „ნორდი“,*) იგიც ხმაურდება, გრგვინავს, ბობოქრობს და ქალაქის ალიაქოთს ეხმაურება, უერთებს ხმასა. როდესაც ძლიერი „ნორდი“ უბერავს, მთელი ქალაქი მტვრის კორიანტელშია გახვეული და თხილის ოდენა კენჭებს აყრის სახეში ადამიანს.

შესაზარი სანახავია ბაქოს მიდამოები. აქ ბალახის ერთ ღერსაც ვერა ნახავთ, აქა-იქ საცოდავად დაჰკვრია დედამიწას ფამფარის მზგავსი გამხმარი კლერტები, მაგრამ ბუნებას თუ დაუჩაგრავს, მოუქაჩლია და ნაცარ-ტუტად უქცევია მისი ზედაპირი, სამაგიეროდ გული ბაჯაღლო ოქროთი აუვსია და ტყე-მინდორ – ანკარა წყაროების ნაცვლად ულეველი ნავთით დაუჯილდოვებია.

ადამიანის ფართო გონებას, მის გამჭრიახობას ვერ დაემალა ბუნების ეს სიმდიდრე. შეუმჩნევია თუ არა, რომ ამ მწირ მიწიდან ფულის წყარო ამოსჩქეფს, არაფერი დაუზოგავს და აუგია უთვალავი ქარხნები და ნავთის ამოსაწურავი ხის კოშკები.

ბაქოს მიდამოებში, ნავთის მომცემ ალაგთა შორის შესანიშნავია—ბალახანა, თავისი სივრცით და საწარმოო შენობებით. იგი 12 ვერსით არის დაშორებული ქალაქს და შეიცავს 150 ოთხკუთხ ვერსს. აგებულია 15000 კოშკი და უმთავრეს მწარმოებლად ითვლებიან: ნობელი, რომელსაც 900 კოშკი აქვს, როჩილდი, 700 კოშკით, მანთაშევი, 250-ით, მოსკოვის ამხანაგობა—150 და სხ. ნობელი 24 საათში იღებს 150,000 ფუთ ნავთს, როჩილდი 100,000 ფუთს, მანთაშევი 40,000 და მოსკოვის ამხანაგობა 26,000 ფუთს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რისთვის აშენებენ იმ მაღალ, 15—20 ადლიან პირამიდულ კოშკებს.

თითო მათგანი დადგმულია 200—600 ადლიან სიღრმის ჭაზე. კოშკის წვერზე გამაგრებულია ღარიანი რკინის ბორბალი (шкивъ), რომელზედაც გადაგდებულია მსხვილი მართულის თოკი, თოკზე ჰკიდია 28 ადლიანი გრძელი და სქელი ჭურჭელი (желонка), რომლითაც იღებენ ჭიდან ნავთს. თოკის მეორე წვერი გამობმულია რვილზე, რომელიც ბრუნავს ორთქლის მანქანის შემწეობით, ზედ იხვევს თოკს და ამ რიგად ჭურჭელი ჩადის ჭის სიღმეში და ამოაქვს ნავთი. ჭურჭელს ძირში გაკეთებული აქვს კლაპანი, რის წყალობითაც ნავთი იცლება ხის ღარში, აქედან გადადის აუზში, აქ ცალკევდება წყლისგან, შემდეგ მილები გადააქვთ რეზერვუარებში და, როდესაც ივსება რეზერვუარები, ერთი ნაწილი ნავთისა მილებითვე გადააქვთ „შავ ქალაქში“, სადაც აგებულია ქარხნები და იხდება ბენზინი, კეროსინი, ზეთი, გუდრონი, და სხვა და სხვა საჭირო სითხე,—მეორე ნაწილი იგზავნება სხვა და სხვა ქვეყნებში.

წარმოიდგინე მკითხველო 10—15 ქცევა ადგილზედ კოშკები, მოსამსახურეთათვის აგებული ქვითკირის სახლი, რომელიც ჭვარტლით შელესილა და შავ აკლდამას წააგავს, ალაგ-ალაგ მაზუთის ტბები, გადახურული, ნავთით სავსე დიდრონი აუზები, მთელი მიდამო მოდებული ნავთის გასაყვანი მილებით, რეზერვუარები, ნავთის დიდრონი პომპები, ათას ნაირი მანქანების ხმაურობა, აზარმაცთა გრიალი, ნავთის სუნით გაჟღენთილი ჰაერი და ამასთან შავად გამურული ათასამდე მუშა და თქვენს თვალს წარმოუდგება ნამდვილი საქაო ჯოჯოხეთი.

ამ 15—18 წლის წინად 60—80 ადლიან ჭის სიღრმიდან ხშირად ამოხეთქავდა ნავთის შადრევანი, ისე ძლიერად, რომ დღე და ღამეში ნახევარ მილიონიდან—ერთ მილიონამდე ნავთი ამოდიოდა, და ამ გვარი შადრევანი ხშირად რავდენიმე თვე გრძელდებოდა. შადრევანის პატრონი თვეობით, წლობით და საათობით მდიდრდებოდა, სოვდაგრდებოდა. გუშინდელი ქვის მთლელი დღეს სამოცი მილიონის პატრონია; შარშან რომ კურტანს ატარებდა, დღეს მას ნახევარ ბაქო ეკუთვნის; შარშან რომ ვირზედ იჯდა და ბაღებიდან ყურძენი დაჰქონდა ბაზარში გასასყიდად დღეს საკუთარ ავტომობილში ზის და ფეხით მოსიარულე ხალხს ამაყად გადაცქერის.

უკანასკნელ წლებში ნავთის შადრევანები ბაქოს მიდამოებში ალარსად არის, იშვიათად სურახანაში თუ ამოხეთქავს, ისიც ძალიან მოკლე ხნით, ასე ერთი ორი დღით და შედარებით წარსულ წლებთან არც ისე აუარებელი ნავთი ამოდის, საზოგადოდ აქ ნავთმა შესამჩნევად იკლო, მაგრამ მრეწველნი მაინც არა ზარალობენ. თუ დღეს ნავთი იმდენი ალარ აქვთ, სამაგიეროდ ნავთის ფასმა ძლიერ აიწია: ამ 10—12 წლის წინად ნავთი

*) ზენა ქარს აქ „ნორდს“ ეძახიან.

ღირდა ფუთი 8—10 კაპეიკი, დღეს კი ღირს 36 კაპეიკი.

სურახანა ხუთი ვერსით მოშორებულია ბალახანაზე და შესანიშნავია იმით, რომ ნავთის გარდა აქ ზოგი ერთი ჭიდან ამოდის გაზი, რომელიც მილებით გაჰყავთ სხვა და სხვა ქარხნებში და ამის შემწეობით მოძრაობაში მოჰყავთ ათასნაირი მანქანები. ფრიად შესანიშნავი სურახანაში კიდევ ის არის, რომ მრავალი უქრობელი ცეცხლია აქა-იქ დანთებული. საკმარისია ცოტა გადაქექო მიწა, მოუკიდო მას ცეცხლი და საჩქაროდ აღიგზნება ნაზი ყვითელი ალი. საოცარი სანახავია ეს ალქანი ცეცხლები ღამ-ღამობით; მნახველს შიშის ჟრუანტელი უვლის, უღვიძებს ცრუ მორწმუნეობას და უბრალო მამაკვდავთა სულში სარწმუნოებრივ აღტაცებას ჰბადებს.

წინად აუარებელი ცეცხლ-თაყვანის მცემელნი მოდიოდნენ სალოცავად აქ აგებულია ქვითკირის მონასტერი, 24 სენაკით, მკვდრების საწვავ საკურთხეველით და სალოცავი კოშკებით; ყველა ესენი დღემდე არსებობს და რკინის გზის სადგურიდან რამდენიმე ადლითაა დაშორებული.

ბიბი-ჰეიბათი, რომელიც ოთხ ვერსზეა ბაქოდან, შეიცავს სიგძე-სიგანით 8 ოთხ-კუთხ ვერსს და აქ არის აგებული სულ 1,600 კოშკი. ნავთის წარმოება იმავე მეთოდითაა, როგორც ზემოთა ვსთქვით, მხოლოდ აქ ნავთის მრეწველთა შორის პირველი ადგილი უჭირავთ ძმათა ზუბალაშვილებს. ეს პირნი ქართველთა შორის ცნობილნი არიან თავიანთი ქველმოქმედობით და საზოგადო საქმის სიყვარულით.

მუშათა რიცხვი ბაქოში 25 ათასს უდრის, რომელთა ზურგზედაც წევს მთელი აქაური ნავთის მრეწველობა. შრომობს ამ ჯოჯოხეთურ ქვეყანაში მუშა, ამ მოწამლულ-მოშხამულ ატმოსფერაში, იბრძვის იგი ცხოვრებისათვის და მდიდრდება სხვა, უცხო ვიღაც.

ასეთია ამ ჯადოსნურ ქვეყანაში ცხოვრების ვითარება, მისი ელ-ფერი და მისი საიდუმლოება, და დრომდის ასეც იქნება... შემდეგ წერილში ვეცდები ამ საიდუმლოებას ავხადო ფარდა,

ალ. ნ—ძე.

ჩვენს გარეშე

ჩერნოგორია

რას წარმოადგენს ჩერნოგორია, ევროპის მონტენეგრო, ეს პატარა სახელმწიფო, რომელმაც პირველმა გამოაცხადა ომი და პირველმა აანთო ბრძოლის კოკონი ბალკანეთზედ? მცხოვრებთა რიცხვით მცირე, ბუნებით მთიანი, ეკონომიურად ღარიბი, იგი მუდამ იპყრობს კაცობრიობის ყურადღებას თავისუფლების სიყვარულით. ეთნოგრაფიულად იგი ეკუთვნის სერბთა ჯგუფს სლავიანთა ტომისას, პოლიტიკურად დამოუკიდებელი სამეფოა. ბედმა ოსმალეთის მოსამზღვრედ გახადა და არგუნა ბელადობა იმ დაუსრულებელ ბრძოლაში რომელსაც ეწეოდნენ სლავიანთა ყოფილი სამეფოები ოსმალეთთან,

1386 წელს კოსსოვოს ველზედ დამარცხდა დიდი სერბია. მხოლოდ მისმა ერთმა კუთხემ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ეს იყო მიუვალი მთიანი ადგილი, სახელად ზეტა, ეს იყო ჩერნოგორია. ეს იყო სასტიკი ხანა დასავლეთ სლავიანთათვის, ხანა როცა მოისპო ბულგარეთი, როცა დიდი სერბია და სლავიანები შეებნენ ოთხასის წლის მონობის უღელში და ოსმალეთი დაეუფლა მათ. მხოლოდ ერთი ჩერნოგორიაღა ფეხქავდა. ოთხასის წლის განმავლობაში მან თავის კალთით ატარა იდეა სლავიანთა პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა, მისი ნასახი და იმავ დროს მისივე მომავალი იზრდებოდა ამ მთებიან ადგილში, მკომარ და თავგანწირულ მთიელებს შორის და, როდესაც ოთხასის წლის შემდეგ დიდის მსხვერპლისა და ბრძოლის შემდეგ სლავიანებმა დაიბრუნეს პოლიტიკურად დამოუკიდებლობა, დასავლეთ სლავიანთა ახალ პოლიტიკურ ფონზედ პატარა ჩერნოგორია უხუცესი სამთავრო იყო ახლად მოვლენილ სამთავროთა შორის. მისი დინასტია—უძველესი დინასტიებთა შორის.

ჩერნოგორიამ თუმცა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ არც მაშინ უცხოვრია ტკბილად. მისი ისტორია უფრო ვაებისაა. უმეზობლო და მინებებული ბედის ანაბარად, იგი იძულებული იყო დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა, მრავალჯერ შესევიან ოსმალები ჩერნოგორიას, ცეტინიე, დედა ქალაქი მისი, მრავალჯერ გადაუწვამთ, მაგრამ იგი კვლავ იკრეფდა ძალას და კვლავ და-

რაჯად უდგა თავის ქვეყანას. იყო დრო, როცა ჩერნოგორიელებს ორ პირადა უნდა ებრძოლათ. ეს იყო მეთხუთმეტე საუკუნეში, როცა ერთის მხრიდან მას მიაწვნენ ოსმალები, მეორეს მხრიდან ვენეციელები. მაგრამ ხალხმა ამ გასაჭირსაც გაუძლო და გამარჯვება მას დარჩა.

ჩერნოგორელებმა თავის სისხლით სწერეს ისტორია თავის ქვეყნისა და ამ საარაკო წიგნში არის ისეთი ფურცლებიც, სადაც აღნიშნულია არა მარტო თავდასხმა მტერთა, არამედ მტერზედ გამარჯვებაც. პოლიტიკური პირობები მისთვისაც ხანდახან სახეიროდ იცვლებოდნენ და მაგალითად იმავ XV საუკუნის მიწურულებში ვენეციასთან შეკავშირებულმა ჩერნოგორიამ სძლია სკუტართან სულეიმან ფაშის 70 ათასიან ჯარს; იმავ დროს მანვე გაიმარჯვა მუჰამედ მეორეზედ. მეთვამეტე საუკუნეში ჩერნოგორიის ვლადიკამ ვასილიმ სძლია ოსმალეთის ძლიერს ჯარს, მაგრამ არც ამით მოეღო ბოლო ოსმალეთთან დაუსრულებელ ბრძოლას—იგი იძულებული იყო მეცხრამეტე საუკუნეში კიდევ ორჯელ გამკლავებოდა თავის ძლიერ მტერს. ამ ომებში მან დაკარგა ნაწილი თავის მიწა-წყლისა, მაგრამ თავისუფლება მაინც შეინარჩუნა. უკანასკნელი და სასტიკი დარბევა განიცადა ჩერნოგორიამ 1862 წელს, როცა ოსმალებმა ხელახლად აიღეს ცეტინიე და გადასწვეს. საჭირო იყო ხელახლად ბრძოლა, ხელახლად გამარჯვება. ჩერნოგორიაც ეცადა და 1876 წელს გამოუცხადა ოსმალეთს ომი, რომელშიაც გაიმარჯვა. ამის შემდეგ ჩერნოგორია შედარებით უზრუნველ ყოფილი გახდა და შეეძლო თავისი ძალები შინაურ აღორძინებისთვის გამოეყენებინა. ეს საჭირო იყო მისთვის, რომ უფრო ძლიერი და მომზადებული შებმოდა ოსმალეთს, თუ ამას დრო მოითხოვდა. ეს დრო კი მისთვის აუცილებლად დადგებოდა, რადგანაც ჩერნოგორიამ თუმცა მახვილით შემოხაზა სამზღვარი თავის სამეფოსი, თუმცა შედარებით იგი გამარჯვებულიც იყო და უზრუნველ-ყოფილიც, მაგრამ ამ სამზღვარს გარეშე დარჩნენ ბევრი მისი თანამოძმენი, რომელნიც განიცდიდნენ და ეხლაც განიცდიან ოსმალეთისაგან მძიმე წვალებას.

აი ეს ხანაც დადგა.

თუმცა პატარა ჩერნოგორია ამ ხნის განმავლობაში ისე ვერ გაღონიერდა, რომ ოსმალეთთან ომი მარტოს შეეძლოს და არ დაიღუპოს, მაგრამ მაინც სხვაა მისთვის ეხლანდელი დრო. ჩერნოგორია ბალკანეთზედ მარტო და ეული აღარ არის. მას გვერდში უდგანან ბალკანეთის სხვა დამოუკიდებელი სლავიანთა სამეფოები და თითონაც ის აღარ არის, რაც წინად იყო. თუ ისტორიის შავბნელ დროებში ვენეცია მტრულად ეკიდებოდა ჩერნოგორიას, ეხლა თამამად შეუძლიან სთქვას, რომ იმავ ვენეციას მან მოსცა დედოფალი: იტალიის დედოფალი ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზის ასულია. ეს გარემოება ბევრ იმედს უნერგავს ჩერნოგორიას და, რასაკვირველია, იტალია მტრულად განწყობილი ოსმალეთთან, არ მოაკლებს ზნეობრივსა და ნივთიერ დახმარებას. ასევე ითქმის რუსეთზედ, რომელიც მუდამ თავგამოდებულია ჩერნოგორიისთვის. რასაკვირველია მარტო ამ სიმპატიებზედ დაფუძნებული პოლიტიკური კომბინაციები ბევრს არას მისცემენ ჩერნოგორიას, მაგრამ არც თუ მარტო ამაზედ ამყარებს იგი თავის პოლიტიკურ მომავალს. მისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ძალთა განწყობილებას თვით ბალკანეთზედ, რომელმაც შესაძლებლად გახადა ომის გამოცხადება. ჩერნოგორია მარტო არ არის, მას გვერდში უდგანან სერბია, ბულგარეთი და საბერძნეთი. ამ ოთხ მოკავშირეთა შორის პოზიცია ბულგარეთისა და საბერძნეთისა ნათელი და ცხადია. იგინი დაშორდებიან ერთმანეთს და კავშირს, რამწავე მიღწეული იქმნება მათი უახლოესი მიზანი. სულ სხვაა დამოკიდებულება სერბიასა და ჩერნოგორიას შორის. სარწმუნოებით და ეროვნებით ჩერნოგორიაც და სერბიაც ერთნი არიან. სერბიაშიაც და ჩერნოგორიაშიც ღრმად აქვს გამჯდარი ფესვები „დიდი სერბიის“ აღდგენის იდეას. და სწორედ ეს იდეა არის, რომ ამოქმედებს ორივეს. მაგრამ თუნდაც გაიმარჯოს ამ იდეამ, ამით დასრულებული არ იქნება ის ტრაგედია, რომლის ცალ-ცალკე ეპიზოდები ეხლავე თან სდევენ მათ დამოკიდებულებას. ბელგრადსა და ცეტინიეს შორის ადვილად შესაძლებელია შინაური ომი, დინასტიური ბრძოლა, ბრძოლა გეგემონიისთვის. მაგრამ ეს შედარებით შორეული პერესპექტივა დაჩრდილულია უახლოეს მიზნით და ამიტომ ამაზედ ჯერ არავინ ლაპარაკობს.

ა—ი.

ნარევი.

ჩინური ოხუნჯობა. ერთხელ ბელზებული უქეიფოდ გახდა, დაუძახა თავის ვეზირს და ქვესკნელიდან ზეით გამოგზავნა ექიმის საძებნელად. თან გააფრთხილა:

„ყველ ექიმის სადგომთან ატუზულები არიან სულები. ვისთანაც არ იყვნენ, ის ექიმი წ მოიყვანე, რადგან, სჩანს, მას თავის პაციენტთაგან ჯერ არავინ მოუკლავს და გამოცდილი ექიმიც ის იქნება“.

ვეზირმა ბევრი ეძება საქაოს ექიმი, მაგრამ ვისთანაც მივიდა, ყველგან მკვდრების სულები დახვდნენ. ბოლოს მიაგნო ერთს, რომელთანაც არც ერთი სული არ იყო. მიჰგვარა ეს ექიმი თავის ბატონს და მოახსენა, რომ ამის მეტი ვერავინ ვიპოვეთ სანდო. ექიმმა გამოუწერა ავადმყოფს წამლები, მიიღო ძვირფასი საჩუქარი, და ის იყო მოემზადა წამოსასვლელად, რომ უეცრივ ბელზებულმა ჰკითხა:

— როგორ მოხდა, რომ მთელ შენს მოღვაწეობაში ჯერ არც ერთი ავადმყოფი შენს ხელში არ მომკვდარა?

— მე მხოლოდ გუშინ გამოვაკარი განცხადება სახლის კარებზე და ჩემი პირველი პაციენტი ჯერ თქვენ ბრძანდებით. უპასუხა ექიმმა.

ჩვენი ფოსტა

დ. მაიაშვილს. სამი ლექსი და ერთი წერილი გამოგვიგზავნეთ, საცა გვემუქრებით: შემდეგისთვის მოგაწოდებთ, როგორც ლექსებს, ისე პოემებს, ესკიზებს, მინიატურებს, მოთხრობებს და პიესებსაც. ზღაპრებს, ეტიუდებს, რომანებს, თარგმანებს და სხვათა რაღაც უშვრებით.—ისინიც ხომ ისევე უხეირონი იქნებოდნენ და რატომ დაიშურეთ ჩვენთვის?

ა. ჯაფარიძეს: „დედა, დედილო!.. მე უკვე გავიზარდე“, ჩემო კარგო, შენი მოთხრობა ამას რომ არ ამტკიცებს?!

პან-ჩანიძეს: „ქუთაისში წყალი არ არი“-ო, იწერებით. მაშ ლაღიძის წყლები დალიეთ.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

განცხადებანი

ქ. გორში გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, სავაჭრო-სამეურნეო სასოფლო გაზეთი

„ქ ა რ თ ლ ი“

ყოველ-კვირეულ სურათებიანი დამატებით.

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ

გაზეთი წლიურად ღირება — — — — 5 მ.
„ ნახევარის წლით — — — — — 2 მ. 60 კ.
„ სამი თვით — — — — — — 1 მ. 50 კ.
„ ერთი თვით — — — — — — — 45 კ.

უ დ ა მ ა ტ ე ბ ო თ

გაზეთი წლიურად ღირება — — — — 4 მან.
„ ნახევარის წლით — — — — — 2 მ. 30 კ.
„ სამი თვით — — — — — — 1 მ. 20 კ.
„ ერთი თვით — — — — — — — 55 კ.

ცალკე ნომერი დამატებით ყველგან 5 კაპ. უდამატებოთ 3 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი «ქართლი» გამოვა კვირაში ამჯერ პატარა ზომისა და უდამატებოდ. შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველ დღიური იქნება.

რედაქტორგამომცემელი **ი. ეკალაძე-ცინცაძე.** მისამართი: **ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს.** ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა **1912 წლისათვის.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

პირველ ივლისამდე.